

კასპში № 4 ბალის რეაბილიტაცია დასრულდა

13 ნოემბერი 2017

რეგიონებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. კიდევ ერთი განახლებული საბავშვო ბაღი მოემსახურება კასპის აღსაზრდელებს.

მე-4 საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია დასრულებულია. პროექტი ფარგლებში შეიცვალა შენობის სახურავი და კარ-ფანჯრები, მოეწყო სველი ნერტილები, ცენტრალური გათბობის სისტემა და გაკეთა შიდა სარემონტო სამუშაოები.

შესრულებული სამუშაოები [რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის](#) მინისტრმა ზურაბ ალავიძემ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილესთან, სიმონ გულედანთან ერთად დაათვალიერა. მინისტრმა აღსაზრდელებსა და პედაგოგებს განახლებულ შენობაში სასწავლო პროცესის დაწყება მიულოცა.

სამუშაოებისათვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მისმა საერთო ღირებულებამ 300 000 ლარამდე შეადგინა.